ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი ---------- 2017 წ.

ერთის მხრივ, **შპს „ავერსის კლინიკა“,** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით (შემდგომში წოდებული „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ, შპს ---------- მისი დირექტორის ---------- სახით, (შემდგომში წოდებული „შემსრულებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად, უზრუნველყოს დამკვეთის საკუთრებაში არსებული შენობის ფასადზე მორბენალი სტრიქონის ტაბლოს მონტაჟი (შემდგომში ”მომსახურება”).

1.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, ალაზნის გამზირი.

1.3. მორბენალი სტრიქონის ტაბლოს მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში №1, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.4. მორბენალი სტრიქონის ტაბლოს ფოტომონტაჟი მოცემულია დანართში №2, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. სამუშაოს ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს, ---------- დღგ–ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღირებულებაზე ანგარიშსწორება მხარეთა შორის წარმოებს, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფინანსური დოკუმენტაციისა და მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ---------- საბანკო დღის ვადაში.

4. სამუშაოების შესრულების ვადა

4.1. მხარეები შეთანხმდნენ მომსახურების გაწევის შემდეგ ვადებზე:

4.1.1. შემსრულებელი ვალდებულია დაასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება ხელშეკრულების ხელმოწერიდან --------- დღეში და გააფორმოს დამკვეთთან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსრულებელი ვალდებულია:

5.1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

5.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არსებული ნორმების შესაბამისად და დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის ლიცენზია, სერტიფიკატი, დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის.

5.1.3. საკუთარი ხარჯით----------სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ყველა ნაკლოვანება და დეფექტი, რომელიც გამოვლინდება მომსახურების გაწევის დროს.

5.1.4. მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს შრომის დაცვისა (თავისი ან/და თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება) და ტექნიკური უსაფრთხოების, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებისა და გარემოს დაცვა.

5.1.5. პირადად განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება და დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადაანდოს იგი მესამე პირებს.

5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

5.3. დამკვეთი ვალდებულია:

5.3.1. განახორციელოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

5.3.2. ხელი მოაწეროს შემსრულებლის მიერ ხელმოწერილ მიღება–ჩაბარების აქტს, შემსრულებლის მიერ მისი წარმოდგენიდან ---------- დღის განმავლობაში, ან წარუდგინოს შემსრულებელს მოტივირებული უარი მიღება–ჩაბარების აქტზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით.

5.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

5.4.1.მოითხოვოს შემსრულებლისგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წესითა და ვადებში.

5.5. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, რაც გულისხმობს მათთვის ვალდებულებათა შესრულების შედეგად ცნობილი ინფორმაციის (ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები, საქმიანობის დეტალები, კომპანიის კონტრაგენტების ვინაობა, სქემები, და სხვა) გამჟღავნების დაუშვებლობას მესამე პირებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტში აღწერილი უნდა იყოს გაწეული მომსახურება და მისი ღირებულება.

6.2 დამკვეთის მიერ გაწეული მომსახურების მიღებაზე უარის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან შემსრულებლის მიერ დამატებით გასაწევი მომსახურების და მათი შესრულების ვადების შესახებ. ნაკლოვანებების აღმოფხვრა ხორციელდება დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, დამკვეთის მიერ შეთავაზებულ გონივრულ ვადაში, რომელიც წერილობით დაფიქსირდება აღნიშნულ დამატებით შეთანხმებაში. ნაკლოვანებების აღმოფხვრის შემდეგ სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

6.3 დასრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 7. მასალებისა და შესრულებული სამუშაოს გარანტია

7.1. შემსრულებელი იძლევა მასალების და შესრულებულ სამუშაოთა სათანადო ხარისხის, აგრეთვე, მათი წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან სრული შესაბამისობის გარანტიას.

7.2 თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონელს ან/და მომსახურებას აღმოაჩნდება დეფექტები, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ---------- ვადაში აღმოფხვრას აღნიშნული დეფექტი.

7.3 გარანტია შესრულებულ სამუშაოსა და მასალაზე დამკვეთს ეძლევა ---------- ვადით, შესრულებულ სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებულ სამუშაოზე, მასალაზე, სხვა ყველა კომპონენტზე.

7.4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დაზიანების, ნაკლოვანების და დეფექტების აღმოფხვრის ხარჯებს.

8. პასუხისმგებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

8.2. შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების (პუნქტი 4.1.1.) დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს პირგასამტეხლო დამკვეთს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

8.3. დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების ვადების (პუნქტი 3.1.) დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსრულებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

8.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (7.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში) დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს და ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი თანხის 0.5%-ის ოდენობით. ამასთან, შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს დამკვეთისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი იმ ოდენობით რა ოდენობითაც დაუჯდება მყიდველს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლოვანების/ხარვეზის/დეფექტის აღმოფხვრა.

8.5. თუ დამკვეთი აღმოაჩენს შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებისა და მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების, არაჯეროვან ან უხარისხო შესრულებას (მათ შორის, ხელშეკრულებითა დანართით გათვალისწინებული მასალის შეუსაბამობა, საქონლის მიწოდების ადგილი, უხარისხო, ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება, საქონლის მონტაჟის უხარისხოდ განხორციელება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევა), შემსრულებელი ვალდებულია არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს აღმოჩენილი არაჯეროვანი ან უხარისხო შესრულება, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია არ გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება და ამასთან, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-ის ოდენობით.

8.6. შემსრულებელი სრულად აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევით გაწეულ მომსახურებაზე.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი განახორციელებს სამუშაოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან ან/და ფოტომონტაჟთან, დანართ(ებ)თან შეუსაბამოდ, ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის, ვადების დარღვევის შემთხვევაში, რისთვისაც დამკვეთს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი, შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს ზემოაღნიშნული ზიანი/ზარალი, მოთხოვნიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუკი შემსრულებელი არ აანაზღაურებს ზემოაღნიშნულ ზიანს/ზარალს მოთხოვნიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%–ის ოდენობით.

8.8. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურებისას შემსრულებლის მიერ დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები და ამით ზიანი/ზარალი მიადგება დამკვეთს ან/და დამკვეთის პაციენტს ან/და სხვა მესამე პირებს ან/და გარემოს, დამკვეთს უფლება აქვს, მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია, აანაზღაუროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი/ზარალი სრული მოცულობით დამკვეთის ან/და დამკვეთის პაციენტის ან/და სხვა მესამე პირების წინაშე.

8.9. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობისგან.

8.10. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს დამკვეთის თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სტიმულირება, წინწაწევა ან ამ მომსახურების შესყიდვა, დამკვეთი უფლებას იტოვებს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი.

8.11. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 95[1]-ე მუხლის შესაბამისად ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მატარებელ პირს, შემსრულებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში

აღმოჩნდება, რომ შემსრულებელი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც დამკვეთს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.), შემსრულებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით პირველივე მოთხოვნისთანავე, 5 დღის ვადაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შესახებ

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომლის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლოვობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2.თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ფორს-მაჟორის შესახებ

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

10.2. მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება აღარ ექნება მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან განმათავისუფლებელ გარემოებაზე.

10.3.დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან, რაც ფიქსირდება წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე.

11.2. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

11.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადამდე დამკვეთის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ:

11.3.1. შემსრულებელი არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც დამკვეთს დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო დამკვეთს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება;

11.3.2. აღნიშნულის თაობაზე დამკვეთი შემსრულებელს წინასწარ წერილობით შეატყობინებს.

11.3.3. ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. დასკვნითი დებულებების შესახებ

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

12.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით არსებული წესით.
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
12.4. ყოველი მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. მხარე, რომელიც არ ატყობინებს ან არადროულად ატყობინებს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.
12.5. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
12.6. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.
12.7. შემსრულებელი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.
12.8. მხარეები შეეცდებიან ყველა წარმოშობილი დავა და უთანხმოება გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ დავა ვერ გადაწყდება მისი წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში მოლაპარაკების გზით, მხარეები იტოვებენ უფლებას თავიანთი ინტერესების დასაცავად მიმართონ საქართველოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.9 მხარეები თანხმდებიან, რომ დამკვეთის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე–1[1] პუნქტის შესაბამისად.
12.10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად – თითო ეგზემპლარი ყოველი მხარისათვის. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

<u>**დამკვეთი:**</u>
შპს“ავერსის კლინიკა“
<u>მის:</u> ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №27/ბ
<u>ს/კ</u> 212002580
<u>მომს. ბანკი:</u> ს.ს.“საქართველოს ბანკი“
<u>ბანკის კოდი: BAGAGE22</u>
<u>ანგ. №</u> GE05BG0000000170821600
ტელ: 2500700

<u>**შემსრულებელი:**</u>

<u>მის:</u> ----------
<u>ს/კ:</u> ----------
<u>მომს. ბანკი:</u> ----------
<u>ბანკის კოდი:</u> ----------
<u>ანგ. №</u> ----------
ტელ: ----------

გენერალური დირექტორი:

დ. ჯორბენაძე/ _____/

დირექტორი:

---------- /_____/